პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

6 იანვარი ხუთშაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 4 (15217)


# მთელი ძალ-ღონე მოვახმაროთ ხუთწლედის ვადამდე შესრულებას!

## ეხმაურებიან მოსკოველთა თაოსნობას

**მოსკოვის საწარმოთა კოლექტივების გაგლეთისამებრ რესპუბლიკის მოწინავე ფაბრიკა-ქარხნების, უბანებისა და მაღაროების კოლექტივები, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციები გულდასმით განიხილავენ გასული წლის შედეგებს და მეძებენ ახალ რეზერვებს 1972 წლის გეგმისა და ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის, კისრულობენ ახალ გალდებულებებს.**

**ეკონომიკური ინტენსიფიკაციის, ტექნიკური პროგრესის, ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების, ეკონომიკური ბერკეტების, ეკონომიკური სტიმულირების, ეკონომიკური ანალიზის, ეკონომიკური ანგარიშგების, ეკონომიკური ინფორმაციის, ეკონომიკური ეფექტიანობის, ეკონომიკური ბალანსის, ეკონომიკური ინდიკატორების, ეკონომიკური ბიბლიოთეკის, ეკონომიკური ლექციების, ეკონომიკური ინსტიტუტების, ეკონომიკური ... ეკონომიკური ... ეკონომიკური ...

# ჟურნალი დღე

ერთეული ბიბლიოთეკა


# გ ა მ ო ბ ე ნ

◆ სოლიდაროგბას უცხადებენ მებრძოლ ვიეტნამელ ხალხს ◆ სერიოზული საფრთხე ემუქრება ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას ◆ აღიკვეთოს ყაჩაღური მოქმედება ◆ შეფყდეს სისხლისმღვრელი სადამსჯელო ოპერაციები

თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში გაიმართა მიტინგი, რომლის მონაწილეებმა დიდი გულისწყრომა გამოთქვეს ოკეანისგადმოცული აგრესორების მიერ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის ბარბაროსული დამომბვის გამო.

საწარმოს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ ა. კიკნაველიძემ, მექანიკური საამქროს ხარატმა ა. ტაბატაძემ, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ვ. კუპრაძემ, ზეინკალმა ნ. გუბანოვმა, მრავალტრაქტიანი გაზთის „ჩვენი საყვირის“ რედაქტორმა ი. ბოლქვაძემ აღნიშნეს, რომ ამერიკელ აგრესორთა ყაჩაღური თავდასხმები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებზე კიდევ უფრო აძლიერებს ვიეტნამელი ხალხისადმი რესპუბლიკის დედაქალაქის უძველესი სამრეწველო საწარმოს კოლექტივის ძმური სოლიდარობის გრძნობას.

საქართველოს მუშათა კლასის ერთ-ერთი მოწინავე რაზმის წარმომადგენლები გმობენ ისას, ვინც ხელყოფს ჩვენი ვიეტნამელი მეგობრების სიცოცხლესა და თავისუფლებას. ვიეტნამელი ხალხის ნებისყოფას ვერ გატეხენ! სამართლიანი საქმე გიმარჯვებს! — ასეთია მიტინგის მონაწილეთა ღრმა მრწამსი, რომელიც გამოიხატება ერთსულოვნად მიღებული რეზოლუციით. (საქდესი).

თბილისის „საქრიცოტაჟის“ ფაბრიკაში გაიმართა საპროტესტო მიტინგი ინდოჩინეთში ამერიკის მხედრიონის ახალი დანაშაულებრივი აქციების წინააღმდეგ. მიტინგი გახსნა პროფკავშირის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ ე. სახიანშვილმა.

ინდოჩინეთის უკანასკნელი ამბები

**ვაშინგტონი. 5 იანვარი. (საკდესი). ვაშინგტონში კვლავ მორიგი პოლიტიკური სკანდალი ატყდა იმასთან დაკავშირებით, რომ გამელავნდა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელთა საიდუმლო თათბირის ინფორმაცია, რომელიც ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტის დროს გამართულა.**

ამერიკელ ჟურნალისტს ჯ. ანდერსონს ხელში ჩაუვარდა მთავრობის საიდუმლო დოკუმენტები, რომელთა საფუძველზე მან სტატიების სერია დაბეჭდა გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში“. საიდუმლო ოქმები ეგზეთ წოდებული „მოქმედების სპეციალური ჯგუფის“ სხდომისა, რომელშიც შედიან თეთრი სახლის, სახელმწიფო დეპარტამენტის, პენტაგონის, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მაღალი თანამდებობის წარმომადგენლები, გვიჩვენებენ, რომ „მიუკერძოებლობის“ და ინდოსტანში მშვიდობისადმი „მისწრაფების“ ნიღბით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტის დროს ატარებდა ინდოეთის საწინააღმდეგო პოლიტიკას, მიმართავდა ღონისძიებებს სომაონი მოქმედების გასაჭიანურებლად და გამოიდა იაპონ ხანის სამხედრო რეჟიმის მხარეზე, რომელმაც სისხლისმღვრელ რეპრესიებს მიმართა ბანგლა დეშის განმთავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ.

პრეზიდენტის სპეციალური თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში ჰ. კისინჯერი, როგორც ჯ. ანდერსონი წერს, „ატყუებდა ჟურნალისტებს პრეს-კონფერენციაზე, როცა ამტკიცებდა, „დიმინისტრაცია ინდოეთის წინააღმდეგ არ არისო განწყობილი“. პირიქით, ოქმები მოწმობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მოითხოვდა „უფრო გაბედულ პოზიციას დასდგომოდნენ ინდოეთის წინააღმდეგ“.

აღნიშნული „მოქმედების ჯგუფის“ სხდომების თავმჯდომარე კისინჯერი დაჟინებით მოითხოვდა მიემართათ „უფრო მკაცრი ღონისძიებებისათვის ინდოეთის წინააღმდეგ“. 8 დეკემბრის სხდომაზე მან, კერძოდ, თქვა: „მე ეროვნულ ნახევარ ხათში მტუქსავს პრეზიდენტი ინმოსათვის, რომ საკმაოდ მკაცრნი არა ვართო ინდოეთისადმი“.

დიპლომატიურ ფრონტზე ვაშინგტონი ცდილობდა გაეჩაღებინა შეტევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, კერძოდ უშიშროების საბჭოში, როცა აცხადებდა, ამერიკის შეერთებულ შტატებს „ნეიტრალური პოზიცია“ უკავიათო ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტში. დოკუმენტებიდან კი ჩანს, რომ სპეციალური ჯგუფის სხდომაზე ამ საკითხის განხილვისას სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა დეპალმამ თქვა: „ჩვენ შეიძლება სიძნელეებს გადავეწყდეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რადგან ქვეყნების უმრავლესობას არ სურს იმდენად დაუჭიროს მხარი პაკისტანს, რამდენადაც ეს ჩვენ (ე. ი. შეერთებულ შტატებს) გვინდათ“. ესეც კია, რომ კისინჯერს მითითება მიუცია: „თქვენ იმოქმედეთ და სხვა ქვეყნების სურვილს ყურადღება ნუ მიაქცევთო“.

ამერიკელი ელჩი ჯ. კიტინგი გზავნიდა. ელჩი, კერძოდ, აღნიშნავდა, რომ „აღმოსავლეთ პაკისტანის მოსახლეობა მეცხალმება განთავისუფლებას“, ხოლო „ინდოეთი არ აპირებს დაკავებული ტერიტორიების ანექსიას“.

**ვაშინგტონის აგრესიულ გეგმებში დიდმნიშვნელოვან როლს მოაკუთვნებდნენ დამკვრელი ავიამზიდის „ენტერპრაიზის“ მეთაურობით მე-7 ფლოტის ბომალდების ჯგუფს, რომელიც ბენგალის ყურეში გაგზავნეს ძალის დემონსტრაციისათვის.** სპეციალური ჯგუფის ხსდომებზე, აღნიშნავს ჯ. ანდერსონი, შეადგინეს გეგმები, რომ პროვოკაციულად გიეგრცელებინათ ცნობები ამ ხომალდების მოახლოების შესახებ, რათა ეს უხეში დემონსტრაცია ძალისა რაც შეიძლება უფრო ეფექტური ყოფილიყო.

აკამეს რა ვაშინგტონის მთელ „ინდოსტანის ფეერას“, როგორც უწოდა მას ამერიკის პრესამ, ჯ. ანდერსონი ასკვნის, რომ „შეერთებულმა შტატებმა სტრატეგიული მარცხი განიცადა“. „ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალური სამხედროო-საზღვაო ჯგუფის დრამატულმა გამოჩენამ ბენგალის ყურეში პაკისტანელთა კაპიტულაციის წინ, ვერ დაამინა ინდოეთი“. „ინდოეთ-პაკისტანის ომის დროს, — ხაზს უსვამს ჯ. ანდერსონი, — ამერიკელი ხალხი კიდევ ერთხელ მოიტყუეს მისმა ხელმძღვანელებმა“.

„თეთრი სახლის საიდუმლო დოკუმენტების“ გამოქვეყნებამ ნამდვილი აურზაური გამოიწვია მთავრობის წრეებში. მეთვალყურეთა აზრით, ინდოეთში შეერთებული შტატების აგრესიის შესახებ ცნობილი „პენტაგონის დოკუმენტებისა“ არ იყოს, ახალი სკანდალური მხილებანი ვაშინგტონში კვლავ ნათელს ფენენ შეერთებული შტატების მმართველი წრეების ჭეშმარიტ მოტივებსა და აქციებს, რომლებიც „მუკერძოებლობისა“ და „მშვიდობიანობის“ შესახებ ოფიციალური დეკლარაციების ნიღბით ამკარა აგრესიულ პოლიტიკას ატარებენ ამერიკის მონოპოლიათა ინტერესებისათვის.

როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავს, ინდერსონის მიერ საიდუმლო დოკუმენტების გამოქვეყნებამ გააცოფა თეთრი სახლი და კალაპოტიდან ამოაგდო თანამშრომელი, რომელიც ეროვნული უშიშროების პრობლემებზე მუშაობენ.

მთავრობის წრეებში დაადასტურეს, რომ თეთრმა სახლმა დაიწყო გამოძიება, რათა გაარკვიოს, თუ ვისი ბრალია, რომ ცნობებმა ამ საიდუმლო დოკუმენტების შესახებ პრესაში გაუოს.

## ამერიკელი ელჩი ჯ. კიტინგი გზავნიდა. ელჩი, კერძოდ, აღნიშნავდა, რომ „აღმოსავლეთ პაკისტანის მოსახლეობა მეცხალმება განთავისუფლებას“, ხოლო „ინდოეთი არ აპირებს დაკავებული ტერიტორიების ანექსიას“.

# ამერიკის პოლიტიკის ახალი მხილებანი

### მორიგი პოლიტიკური სკანდალი ვაშინგტონში

## ᲡᲙᲘᲠᲢᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲒᲘᲚᲔᲗᲘ

**სანტიაგო, 4 იანვარი. (საკდესი). ჩილეს კომპარტიის 50 წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით აქ მყოფი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო, იყო დედაქალაქის პროლეტარულ რაიონში — სან-მიგელში, რომელიც ცნობილია რევოლუციური ტრადიციებით. დელეგაციის წევრებსა და ჩილეს კომპარტიის ადგილობრივი კომიტეტის ხელმძღვანელობას შორის გაიმართა საუბარი.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დელეგაციის მეთაურმა ა. პ. კირილენკომ შეკრებილთ უამბო, თუ როგორ ცხოვრობს საბჭოთა ხალხი, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახორციელებს კომუნიზმის მშენებლობის დიდებულ პროგრამას.

სკკპ დელეგაცია იყო აგრეთვე დაბაში, რომელიც ლენინის სახელს ატარებს, ცენტრალურ მოედანზე გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. შეკრებილთა წინაშე გამოვიდა ამხ. ა. პ. კირილენკო.

მინდა ყველა საბჭოთა კომუნისტის სახელით, თქვა ა. პ. კირილენკომ, უდიდესი წარმატებანი ვუსურვო ჩილეს მშრომელთა პარტიას ბრძოლაში, რომელსაც ეწევა ხალხის ინტერესებისათვის, ჩილეს ყველა მშრომელის ინტერესებისათვის.

მიტინგზე გამოვიდა აგრეთვე ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივანი ლუის კორვალანი.

იმავე დღეს საბჭოთა დელეგაციის წევრები — მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ი. ბოდიუი და პარტიის ქალაქ მოსკოვის გაგარინის რაიკომის პირველი მდივანი ტ. ვ. გოლუბცოვი იყვნენ დედაქალაქის „ტექსტილ პროგრესის“ ფაბრიკაში. ფაბრიკის მუშაკები გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა სტუმრებს.

## ᲡᲙᲙᲞ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲩᲘᲚᲔᲗᲘ

### ᲛᲮᲘᲚᲝᲓ

● **საბჭოთა კავშირმა** ბოლივიის ხალხს უსასყიდლოდ გაუგზავნა წითელას საწინააღმდეგო შრატი, რომელიც საკმარისია 100 ათასი კაცის ასაცრელად.

● **დაიხურა ქალაქ იონკერსის** (ნიუ-იორკის შტატი) თითქმის ყველა სკოლა, სადაც გაფიცეა გამოცხადა 1.500-ზე მეტმა მასწავლებელმა.

● **96 ადგილიანი** ამერიკული თვითმფრინავის „კონვეირ-880“-ის მგზავრებს აზრადაც კი არ მოსვლიათ, რომ მათ, შეიძლოა, დასხვებმა სერიოზული დოზა მიიღეს. თვითმფრინავმა 9 რეისი გაკეთა შეერთებული შტატების 11 ქალაქში და მხოლოდ ამ დროს აღმოაჩინეს იმ რადიაქტიური მასალების გაუონვა, რომლებიც მანამდე გადაუზიდავთ ნიუ-იორკიდან პიუსტონში (ტეხასის შტატი). ატომური ენერგიის კომისიის წარმომადგენელმა მგზავრებს, რომლებმაც ამ თვითმფრინავით იფრინეს, ურჩია დაუყოვნებლივ შეიმოწმებინათ თავიანთი ჯანმრთელობა.

● **ამერიკელი აბრესორები** კვლავ განაგრძობენ პროვოკაციებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატების საზღვრო-საბაჟო ძალებიმ ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენებმა ცეცხლი დაუშინეს დემილიტარიზებული ზონის ჩრდილოეთით 72 კილომეტრზე მდებარე რაიონს.

● **17 კაცი დაიღუპა** ვილაარიკის ვულკანის ორდღიანი ამოფრქვევის შედეგად ჩილეს კაუტინის პროვინციაში, ნათქვამია მთავრობის ცნობაში. რაიონებიდან, რომლებსაც ნაიღვარი ემუქრებოდა, ევაკუირებულია 2 ათასამდე კაცი.

● **იაპონიის პრემიერ-მინისტრი** სატო ამერიკის შეერთებულ შტატებში გაფრინდა, სადაც მოლაპარაკებას აწარმოებს პრეზიდენტ ნიქსონთან. მას ახლავს მინისტრთა ჯგუფი. მოლაპარაკების დროს განიხილავენ აზიის მდგომარეობას და იაპონია-ამერიკის ურთიერთობის მთელ რიგ პრობლემებს, რომელიც ესოდენ გამწვავდა ამ ბოლო ხანს.

● **კოსტა-რიკის მთავრობამ** თავის კონტროლს დაუქვემდებარა ინგლისის კოლინგზის კომპანია „ნოზერნნ რეალუეის კომპანია“.

● **სანაში „ას-საურის“** საავადმყოფოს ხაზიმო ვითარებაში გადაეცა საჩუქრად ორი ტონა მედიკამენტები, რომლებიც საბჭოთა კავშირმა გამოუგზავნა. ამის გამო საავადმყოფოს დარბაზში გაიმართა მიტინგი, რომელზეც გამოვიდა იემენის არაბთა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი მუჰამედ კაიდ ალ-აჰბარი. მან განაცხადა, რომ იემენისა და სსრ კავშირის ურთიერთობის ისტორია აღსავსეა საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარების მაგალითებით. აქ მყოფი საბჭოთა ექიმებისა და იმ იემენელების ნაყოფიერი საქმიანობის მეოხებით, რომლებმაც სამედიცინო განათლება საბჭოთა კავშირში მიიღეს, მნიშვნელოვნად ამაღლდა სამედიცინო მომსახურების დონე.

### ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

## ᲨᲐᲕᲙᲐᲜᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲕᲚᲐ ᲔᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐᲗ!

**ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲔᲛᲘ** აეროპორტში პოლიციელები და უშიშროების სამსახურის აგენტები თვითმფრინავის ტრაპისაკენ მიერეკებოდნენ ადამიანების დიდ ჯგუფს, რომელთა შორის ქალები და ბავშვებიც იყვნენ, რათა გიესახლებინათ ისინი ისრაელის ფარგლებს გარეთ. ამ ადამიანებმა შეაღწიეს „დაკავებულთა და განსაღვენელთა“ გრძელი სია, თუმცა მათ არაფრით დაურღვევიათ ქვეყანაში არსებული რეგლამენტაციები.

ესენი შავკანიანი ებრაელები იყვნენ. მათ წაართვეს უფლება დარჩენილიყვნენ „აღქმულ მიწაზე“ და გასასახლებლად გაიმეტეს.

ვინ არიან ისინი და რატომ სდევნიან მათ?

ევიელიზებული თეთრკანიანი ადამიანის ნებასურვილმა განსაზღვრა, როგორც ცნობილია, ამერიკელი ინდიელების ხვედრი. ეს იყო მთელი ხალხების მოსპობის გეგმა. ზანგებს მონობა ხვდათ წილად. დღესაც კი, როდესაც მონობა დიდი ხანია აღარ არსებობს, ეგრეთწოდებული „ფერადკანიანები“ ამერიკულ საზოგადოებაში წინანდებურად ცხოვრობენ რასობრივი დისკრიმინაციისა და სიღატაკის პირობებში. ამერიკის შეერთებული შტატების ზანგ მოსახლეობაში წარმოიქმნა მრავალი ორგანიზაცია, რომლებიც იბრძვიან მოქალაქეობრივი უფლებებისათვის. მათი საპროტესტო მოძრაობა ზოგჯერ რელიგიურ შეფერადებასაც იღებს, როგორც, მაგალითად, მიმდინარეობა „შავ მუსლიმანებში“. ამ ჯგუფებს შორის არიან „შავკანიანი ებრაელებიც“. ისინი ქადაგებენ იუდეველთა რელიგიის და მიიჩნიათ, რომ წარმოიშვნენ ისრაელის ბიბლიური ტომისაგან, რომ მოსე წინასწარმეტყველი და პირველი ქრისტიანები შავკანიანები იყვნენ. ისინი იცავენ ებრაულ რელიგიურ აღმქმებსა და რიტუალს.

სიონიზმმა ეს ებრაელები გამოიყენა რათა დაემტკიცებინა თავისი „ანტრაპისტული ხასიათის“ „პროგრესულობა“. უფრო მეტიც, მათ დაიწყეს შავკანიან ებრაელთა გრძნობებზე თამაში და იყენებენენ მავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის.

ეს ყველაფერი იმისათვის კეთდებოდა, რომ დაეფარათ კავშირი იმპერიალისტურ და რასისტულ წრეებთან. ეს კავშირი კი არავისათვის არ არის საიდუმლო. სიონიზმი თვითონ არეს მსოფლიო რეაქციის ერთ-ერთი დასაყრდენი და თვითონ არის რასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკის მატარებელი.

როდესაც ორი წლის წინათ „შავკანიან ებრაელთა“ პირველი ნაკადი ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, მას საიმიგრაციო კომიტეტი შეხვდა. მათ

**სიონისტური პროპაგანდა ყოველნაირად ცდილობს „დემოკრატიულ“ და „თავისუფალ“ სახელმწიფოდ წარმოადგინოს ისრაელი, რომელიც ლაპ იუდეველთა რელიგიის ყველა მიმდევრისათვის. სინამდვილეში კი ისრაელში გამეფებულია აშკარა რასისტული წესები. მოქალაქენი იყოფიან არათანასწორუფლებიან კასტებად მათი კანის ფერის მიხედვით.**

**ამაზე მოგვითხრობს ისრაელის კომპარტიის გაზეთი „ალ-იტიხადი“, ვ. მიბარის სტატიაში, რომელიც ეხება ეგრეთწოდებულ „შავი ებრაელების“ ბედ-იღბალს.**

ისეთივე უფლებები მისცეს, როგორც სხვა ახლად ჩამოსულებს. საცხოვრებლად გამოუყვეს დამონის რაიონი. ხელისუფლების წარმომადგენლებმა გადწყვეტეს, რომ ისრაელში ამერიკიდან ჩამოსული მცირერიცხოვანი შავკანიანთა ოჯახები შეიძლება შეასახლო გალილეაში და როგორც ზოოპარკში უჩვენო უცხოელ ტურისტებს.

მაგრამ სტუმართმოყვარეობამ სულ მალე მოულოდნელი ხასიათი მიიღო. ეს მოხდა მას შემდეგ, როდესაც ხელისუფალნი მიხვდნენ, რომ პირველ შავკანიან ებრაელებს შეიძლება იმიგრანტების ახალი ნაკადი მოპყოლოდა. როდესაც მათ მართლა დაიწყეს ჩამოსვლა, ცხადი გახდა, რომ ყველა მათგანის დასახლება საჩვენებელ კოლონიებში შეუძლებელი იყო. მაშინ გამოყენებულ იქნა ნაცადი იარაღი — პოლიცია და უშიშროების ძალები, რათა ეკან გაეძევებინათ ისინი...

ისრაელის გაზეთებში გამოჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ ამ ადამიანებს სდევნიან იმიტომ, რომ მათ არა აქვთ ფული. მაგრამ როგორც გამოირკვა, ეს ასე არ იყო. ამასთან ცნობილია, რომ თეთრკანიან იმიგრანტებს არავინ ეკითხება, აქვთ თუ არა ფული. განსხვავება მათ შორის მხოლოდ კანის ფერშია. თეთრკანიანებს, როგორც წესი, აქვთ პროფესია, ასეთები კი ესაჭიროება ისრაელს ეკონომიკას. ხოლო შავკანიანებს უმეტეს შემთხვევაში ხელობა არ გააჩნიათ.

ოფიციალური პროპაგანდა იმასაც კი ამბობდა, რომ ბადმოსახლებულებმა უნდა შეასრულონ იუდეველთა რიტუალები, ვიდრე მათ ისრაელის საზოგადოებრიობა თავის რიგებში მიიღებსო. მაგრამ შავკანიანი იმიგრანტები ამტკიცებენ, რომ ერთხელ მათ უკვე შეასრულეს აუცილებელი რიტუალი. ყველასათვის ნათელია — შავკანიანი ებრაელებისათვის, ებრაული საგენტოს მოხელეებისა და ისრაელის ხელისუფლების წარმომადგენელთათვის, რომ ამგვარი მოპყრობის ერთადერთი მიზეზი მათი კანის ფერია.

ხელისუფალთა საქციელი ადასტურებს ქვეყანაში რასობრივი პრობლემების არსებობას და სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა რასობრივი დისკრიმინაციის გამოვლინება. შავკანიან ებრაელთა ლიდერმა ისრაელში კარტერ ბენ ბამ პროტესტი განუცხადა პრემიერ-მინისტრს გოლდა მეირს. მან გააფრთხილა პრემიერი, რომ დახმარებისათვის მიმართავს აფრიკის სახელმწიფოებს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რათა ლიკვიდირებულ იქნას რასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკა.

და მიუხედავად ამ და სხვა პროტესტებისა, ამას წინათ კვლავ მოხდა შავკანიან ებრაელთა ისრაელიდან ძალით გასახლება.

...ჩემი მეგობარი, რომელსაც ხშირად ვხვდები და, როგორც წესი, უკანასკნელი მოვლენებიდან ვიწყებთ საუბარს, მეუბნება:

— რა უნდათ ამ შავკანიანებს, რატომ მოვიდნენ აქ და უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაყენეს, როგორც ჩვენ, ისევე საკუთარი თავი?

— ალბათ მათ წაიკითხეს დეკლარაცია ისრაელის დამოუკიდებლობის შესახებ და აღმოაჩინეს, რომ ეს სახელმწიფო ღიაა ყველა ერთმორწმუნესათვის.

მეგობარმა გაბრაზებით მითხრა:

— სისულელეა, რომ ისრაელი ყველასათვის არის ღია.

— იქნებ შენ მიგაჩნია, რომ მათ შორის, ვისთვისაც დაკეტილია ისრაელის ჭიშკარი, არის მისტერ მეირ ლანსკი, რომელზეც მთელი პრესა წერს, რომელზეც „ამერიკის შეერთებული შტატების ორგანიზებული დანაშაულებრივი სამყაროს მეფეა“. იქნებ ბატონ კლოდ ლიპსკის არ უშვებდნენ აქ? როგორც იცი, იგი საფრანგეთის მართლმსაჯულებას გამოეძიება და შესანიშნავად მიიღეს ისრაელის ხელისუფლებმა.

აქ ჩემმა მეგობარმა ვეღარ მოითმინა:

— კმარა! მე შენთან აღარაფერზე არ ვილაპარაკებ, გარდა მეშაობისა. ყოველთვის, როდესაც ვიწყებთ პოლიტიკაზე საუბარს, სინდისი მაწუხებს ხოლმე.

მე ვუთხარი მეგობარს, რომ იგი შეიძლება მოიქცეს ისე, როგორც ამას ბევრნი აკეთებენ. ანგარიში არ გაუწიოს იმას, რაც მას აწუხებს. ჩვენ ხომ ასეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, რომელიც აბსოლუტური „თავისუფლებით“ ტკბება...

## ᲙᲐᲠᲘᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲮᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ

### ᲙᲐᲠᲘᲑᲭᲝᲗᲘᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

**5 იანვარი. (სკკდესი). აქ ჩამოვიდა თეთრი სახლის წარმომადგენელთა სპეციალური ჯგუფი, რათა მოამზადოს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. ნიქსონის მომავალი ვიზიტი ჩილეში.**

ამ დელეგაციას სათავეში უდგას პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საქმეებში, ბრიგადის გენერალი ა. ჰეიგი.

წინათ გენერალ ჰეიგს არაერთხელ შეუსრულებია თეთრი სახლის

### ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ

### ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲘᲣᲜᲘᲚᲘ

**5 იანვარი. (საკდესი).** მთელ პოლონეთში იმართება ზეიმი იმასთან დაკავშირებით, რომ დღეს შესრულდა 30 წელი იმ დღიდან, რაც შეიქმნა პოლონეთის მუშათა პარტია — პოლონეთის მუშათა მოძრაობის სახელოვანი რევოლუციური ტრადიციების გამგრძელებელი.

## ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ ᲐᲜᲯᲔᲚᲐ ᲓᲔᲕᲘᲡᲘᲡ ᲒᲔᲓᲘ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲨᲘᲐ

**5 იანვარი. (საკდესი). კალიფორნიის რეაქცია გაფაციცებით ემზადება ანჯელა დევისის გასასამართლებლად. რასისტები, რომლებმაც 27 წლის ამერიკელი კომუნისტი ქალის წინააღმდეგ შეთითხნეს „მკვლელობაში მონაწილეობის“ ბრალდება, თოთხმეტი თვე გაატარებინეს საპყრობილის საკანში და ჩამოართვეს კანონით გათვალისწინებული საწინდრით დროებით განთავისუფლების უფლება, ახლა ამბობენ მოუწყონ სასამართლო ინსცენირება.**

გასამართლების დაწყება — უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეიურის წევრების არჩევნები — დანიშნულია 31 იანვარს კალიფორნიის ქალაქ სან-ხოსეში. მაგრამ უკვე ახლა ადგილობრივმა უფლებებმა გააკეთეს საწოგადოებრივი აზრის ბრალდების თვალსაზრისი. სასამართლო ორგანოებ ცდილობენ დაარწმუნონ საზოგადოებრიობა, თითქოს ეიურის წევრების წინაშე სან-ხოსეში წარსდგება „განსაკუთრებით საშიში დამნაშავე“.

როგორც გაზეთი „ლოს-ანჯელეს ტაიმსი“ წერს, სან-ხოსეს სასამართლოს შედარებით პატარა ორსართულიანი შენობის დასაცავად, ჩვეულებრივი პერსონალის გარდა, გამოძახებული იქნება დამცველთა სპეციალური ქვეგანყოფილება 39 კაცის შემადგენლობით. სან-ხოსეს ხელისუფალნი ყოველწარიად აღვივებენ მომავალი პროცესის გამო ატეხილი ხელოვნური ისტერიის ატმოსფეროს, რისთვისაც დემონსტრაციულად წამოიწყეს სასამართლოს მთელი შენობის „გადაკეთება“.

ანჯელა დევისისათვის შექმნილია მეტისმეტად ვიწრო და ყოველგვარ განათებას მოკლებული „სპეციალური საკანი“, მაგრამ სამაგიეროდ იგი „მოლიანად იზოლირებულია“ შენობის დანარჩენი ნაწილისაგან და აქვს „მეტისმეტად სიმედო კარი“. სასამართლოს შენობის ყველა შესასვლელი და გამოსასვლელი აღჭურვილია ყველაზე თანამედროვე ელექტრონული მოწყობილობა-დეტექტორებ ი თ, შენობაში დადგმულია „სიგნალიზაციის ახალი სისტემა განგაშის შემთხვევისათვის“, აგრეთვე გაყვანილია შიდა სატელევიზიო ქსელი.

ამ დღეებში ბევრი ამერიკელი მიმომხილველი და კომენტატორი კვლავ შეშფოთებით მიაპყრობს ყურადღებას იმას, რომ პატრიოტის მდევნელებმა კატეგორიულად უარყვეს მისი დაცვის დასაბუთებული მოთხოვნა იმის შესახებ, რომ გადაეტანათ პროცესი სანფრანცისკოში, სადაც ადვოკატთა აზრით, შეიძლება შეიქმნას მიუკერძოებელი სასამართლო გარჩევის თუნდაც ელემენტარული პირობები.

## ᲡᲐᲛᲐᲠᲪᲮᲕᲘᲜᲝ ᲡᲐᲛᲡᲯᲐᲕᲠᲝ

**ნიუ-იორკი. 5 იანვარი. (საკდესი).** ლოს-ანჯელესის ფედერალურ სასამართლოში გაიმართა დანიელ ელსბერისა და ანტონი რუსოს „საქმის“ წინასწარი მოსმენა.

მათ ბრალად ედებათ, რომ ამერიკის მთელ რიგ გაზეთებს გადასცეს პენტაგონის საიდუმლო დოკუმენტები, რომლებიც ამხილებენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის მომზადებისა და გაჩაღების დანაშაულებრივ გეგმებს.

ახლა ისრაელის ხელისუფალნი ამთავრებენ იერუსალიმის რეკონსტრუქციის „გენერალური გეგმის“ დამუშავებას. როგორც „ტაიმსი“ იუწყება, ამაში მათ, დაეხმარნენ ინგლისელი „კონსულტანტები“. გაზეთის თქმით, ჯერ კიდევ 1971 წლის

## ᲚᲢᲝᲚᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ

**დელი, 5 იანვარი. (საკდესი).** უკვე დაბრუნდა სამშობლოში — ბანგლა დეშის რესპუბლიკაში 150 ათასზე მეტი აღმოსავლეთბენგალიელი ლტოლვილი, რომლებმაც დროებითი თავშესაფარი ჰპოვეს ინდოეთის დასავლეთ ბენგალიის შტატში.

ბანგლა დეშის მთავრობა ინდოეთის მთავრობის მეგობრული ხელშეწყობით საჭირო პირობებს უქმნის ლტოლვილებს, რომ უშიშრად დაბრუნდნენ სამშობლოში, უზრუნველყოფს მათ სურსათით, ბინით, მედიკამენტებით. **სურათზე:** ლტოლვილები შინ ბრუნდებიან.

## ᲡᲐᲛᲐᲠᲪᲮᲕᲘᲜᲝ ᲡᲐᲛᲡᲯᲐᲕᲠᲝ

**ნიუ-იორკი. 5 იანვარი. (საკდესი).** ლოს-ანჯელესის ფედერალურ სასამართლოში გაიმართა დანიელ ელსბერისა და ანტონი რუსოს „საქმის“ წინასწარი მოსმენა.

მათ ბრალად ედებათ, რომ ამერიკის მთელ რიგ გაზეთებს გადასცეს პენტაგონის საიდუმლო დოკუმენტები, რომლებიც ამხილებენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის მომზადებისა და გაჩაღების დანაშაულებრივ გეგმებს.

ახალი წლის წინ ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო ხელისუფლებმა მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორის დ. ელსბერისა და ვიეტნამის მშვიდობისათვის ბრძოლაში მისი თანამებრძოლის წინაღმდეგ წამოაყენეს დამატებითი ბრალდებანი, რომ მონაწილეობდნენ „დანაშაულებრივ შეთქმულებაში“. ამერიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული სასჯელი ელსბერისადმი წაყენებული ყველა ბრალდების მიხედვით მას უქადის 115 წლამდე პატიმრობას.

გუშინდელი მოსმენის დროს დ. ელსბერმა და ა. რუსომ კატეგორიული უარი თქვეს თავი ეცნოთ დამნაშავედ იმ „ბოროტმოქმედებაში“, რომელსაც მათ პროკურატურა აბრალებს. სასამართლო მათი საქმის გამო დანიშნულია 7 მარტს.

## ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

## ᲝᲙᲣ�პᲐᲜᲢᲗᲐ ᲗᲕᲘᲗᲜᲔᲑᲝᲑᲐ

### ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ

**5 იანვარი. (საკდესი). მეირის მთავრობა განაგრძობს იერუსალიმის „ისრაელიზაციის“ ფართო პროგრამის განხორციელებას.**

ისრაელის ხელისუფალნი არღვევენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს, რომლებიც ისრაელის მთავრობისგან მოითხოვენ ხელი აიღოს იერუსალიმის არაბული ნაწილის ანექსიის ცდებზე და დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ამ ქალაქის სტატუსის შეცვლისათვის მიმართული ყოველგვარი მოქმედება.

ისინი იერუსალიმის არაბ მცხოვრებლებს მიერეკებიან თავ-თავიანთი სახლებიდან, იღებენ შენობებს ქალაქის არაბულ ნაწილში და ფართოდ აშენებენ ისრაელთა ახალ უბნებს.

მარტო გასული წლის ზაფხულში, როგორც იერუსალიმის ისრაელმა მერმა ტ. კოლეკმა აღიარა, ქალაქის აღმოსავლეთი ნაწილიდან გაასახლეს 4 ათასი არაბი. 60.000 კვადრატულ მეტრზე მეტ არაბულ მიწებს იერუსალიმში კონფისკაცია უყვეს ისრაელმა ხელისუფლებმა. ოკუპანტებმა ბულდოზერებით დაანგრიეს აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაზვავების პირობების შესრულების მეთვალყურეთა ჯგუფის შტაბ-ბინის შენობა.

ახლა ისრაელის ხელისუფალნი ამთავრებენ იერუსალიმის რეკონსტრუქციის „გენერალური გეგმის“ დამუშავებ

# ძმობის ფასი

**შენ, უკრაინავ, ჩვენო ძმავ,**
**ნაომარო და აღმდგარო,**
**დნეპრო, კიევო, ალვებო,**
**ალუბლიანო ბაღნარო,**
**ვისწრაფვავ საქართველოდან**
**დღე დიდებისა გაბარო.**

**გიორგი ლეონიძე.**

ძველს უცხო ხარ, შორიდან მოსული ბოლნისის მიწის სანახავად. იქნებ გზაც დაგებნეს საქართველოში პირველად მოხვედრილს, მაგრამ შიში არ გაიკარო გულში — კაციც რომ არ შეგხვდეს, ხე შეგიფარებს. ადამიანს ოღონდ გულითადად გაეხმიანე და მეგზურად სითბო და სიყვარული წამოიყვანე.

ბოლნისელები კუთხე-კუნჭულამდე დაგათვალიერებენებენ ყველაფერს, ძველსაც განახებენ და ახალსაც, ფეხით ჩაგატარებენ ლენინის ქუჩაზე და სტუმარი მომავიდაო, თავს მოიწონებენ ნაცნობებთან. მერე მეორე ქუჩაზე გაგიყვანენ, თბილისის მხრიდან რომ ერთვის ქალაქს და არ გაგიკვირდეს, თუ ლამაზად ნაგები შენობების ფასადებზე შენთვის უცნობი სახელი — „ბერშადის ქუჩა“ ამოიკითხო.

ასეა აქ, ქართულ მიწაზე, ქართული ცის ქვეშ.

მაგრამ არანაკლებ გაიხარებ და თბილზე თბილი გრძნობა დაგეუფლება, როცა უკრაინაში მოხვდები და ვინაცის ოლქის ქალაქ ბერშადში ბოლნისის ფართო, მოასფალტებულ ქუჩაზე გაივლი.

ასეა იქაც, უკრაინაშიც: უკრაინული ცის ქვეშ. უკრაინა და საქართველო...

ისინი, როგორც ერთი ვაზის ორი მტევანი, ისე შეხმატკბებიან ერთმანეთს და მათს ერთობლიობაში ჩვენც — უკრაინელებსაც და ქართველებსაც მხოლოდ ერთი სანუკვარი სიტყვა — მეგობრობა გვეხატება თვალწინ. ეს უანგარო სიყვარული ერთ გულსა და გონებაში აღმართულ იმ ძმობის ტაძრად გვევლინება, რომელსაც თანდათანობით ამაგრებდა და ამაღლებდა მეზნებარე კობზარის — ტარას შევჩენკოს გულის სითბო, ტკბილხმოვანი ბულბულის — აკაკი წერეთლის სულის ნათელი, ბრძენი მოაზროვნის — დავით გურამიშვილის გონების მადლი და ნაზი მგოსნის — ლესი უკრაინკას მთრთოლვარე პოეზია...

**უკრაინელი** და ქართველი ხალხის ურთიერთმეგობრობასა და მხარდაჭერაზე რომ ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ დიდი სამამულო ომის მრისხანე წლები.

...1941 წელს, როცა უკრაინას ფაშისტური ურდოები შემოესია, მრავალმა უკრაინელმა ოჯახმა ჰპოვა თავშესაფარი საქართველოში. ისინი ერთად იყოფდნენ მწუხარებასა და პურის უკანასკნელ ლუკმასაც.

სწორედ მეგობრობაში პოულობდა საბჭოთა ადამიანი უშრეტ ძალას, როცა თავის ქვეყანას და მთელ კაცობრიობას იცავდა ფაშიზმის შავი ჭირისაგან. რამდენი ლექსი, რამდენი წიგნი შეთხზულა ომაზე, თუ რა თავდადებით იბრძოდნენ ჰიტლერელთა ურდოების წინააღმდეგ უკრაინის ყანებსა და ვოლგის ნაპირებზე, მოლდავეთის ბაღებსა და კავკასიის მთებში, ბელორუსიისა და ბალტიისპირეთის სივრცეებში ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ეროვნების ვაჟები და ქალიშვილები. მარცალია, ბევრი ვერ მოესწრო გამარჯვების ზალპს, მაგრამ იმ დროშის ტარზე, რომელიც რიახტაგის თავზე აფრიალდა, მათი ხელების სითბოც, მათი სპეტაკი სისხლიც ეცხო.

მეოთხედ საუკუნეზე მეტი დრო გვაშორებს ომის უკანასკნელ ზალპს, მაგრამ ყოველი ახალი დღე ხდის ფარდას ახალ-ახალ სახელებსა და ფაქტებს, რომლებიც გვაღელვებენ ვიუკაცობის ძალით, ადამიანური გრძნობების სიღრმით.

...სადღაც, პოლტავის მიწაზე, ჩვენი თვითმფრინავების ჯგუფს, რომლებიც ბაზაში ბრუნდებოდნენ, თავს დაესხნენ მტრის ავიაგამანადგურებლები. მეთაურმა თავისიანებს უკან დახევა რომ უბრძანა, თვითონ ჩაება ბრძოლაში. დაზიანდა ძრავი, გათავდა საბრძოლო მარაგი... მაგრამ ხდება ყველაზე საშინელი — თავდება საწვავი! ერთადერთი გამოსავალი მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაშვებაა.

მძიმედ დაჭრილი საბჭოთა მფრინავი ზაქარია ხიტალიშვილი აოყვანეს კოტელვის რაიონის სოფელ პირველი მიხაილოვკის გლეხებმა — საბა მალცევმა თავის მეუღლე ელენე ანუფრიევნასა და მეზობელ ეკატერინა შლიაპკინასთან ერთად. დიდი რისკის ფასად დამალეს იგი სარდაფში. ეკატერინა მიტროფანეს ასულის ქალიშვილმა — ნატალკამ, რომელიც ომამდე მედსკოლის მეორე კურსზე სწავლობდა, სიკვდილის ბრეჭყალებს გამოსტაცა დაჭრილი საბჭოთა მფრინავის სიცოცხლე. შემოდგომის ერთ დღეს მფრინავმა ზაქარია ხიტალიშვილმა მოახერხა ფრონტის ხაზზე გადასვლა და თავისიანებთან შეერთება.

1944 წელს საქართველოს მამაცი შვილის ზაქარია ხიტალიშვილის მკერდი გმირის ვარსკვლავმა დაამშვენა.

განა მარტო ზაქარია ხიტალიშვილი? უკრაინელი მიწის დასაცავად თავგანწირვით იბრძოდა ათეულ ათასობით ქართველი ჯარისკაცი. ჩვენი რესპუბლიკის სახელი და დიდებაა იმ 47 ვაჟკაცის მხედრული გმირობის ამბავი, რომლებსაც უკრაინის მიწის დაცვისათვის უმაღლესი ჯილდო — საბჭოთა კავშირის გმირის სამაღლო წოდება მიენიჭათ.

არც ელენე პლახოტნას მეხსიერებაში წაშლილა ომის წლებში მიღებული მწარე შთაბეჭდილება. 1941 წლის შემოდგომის მიწურულში დატოვა მან ცეცხლში გახვეული მშობლიური სოფელი პიატკოვკა და სხვა ევაკუირებულ გოგონებთან ერთად ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ საქართველოში ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობას შეაფარა თავი. მზრუნველობით უელიდა პატარებს ადგილობრივი მოსახლეობა. ყურადღებას არ აკლებდნენ მათ მეურნეობის ხელმძღვანელები. ომის დამთავრების შემდეგ ერთხანს კიდევ დარჩა ელენე თავის მეორე სამშობლო სოფელ ოჩხამურში. მეურნეობის მოწინავე მუშამ ჩაის უხვი მოსავლის მოყვანის ოსტატის სახელი მოიხვეჭა და 1949 წელს სოციალისტური შრომის გმირის, საპატიო წოდება მიიღო.

და ვის გაუკვირდება დღეს, რომ საქართველოში, კერძოდ თბილისში შეხვდეს კიევისას და კიევში — თბილისის ქუჩას...

— ბერშადის ქუჩა პატარა უკრაინაა საქართველოში! — სიხარულით შემოგძახებენ ბოლნისელები.

— ბოლნისის ქუჩა პატარა საქართველოა უკრაინაში! — აღელვებას ვერ დამალავენ ბერშადელები.

...და ისინიც საგანგებოდ უვლიან, აშენებენ და ალამაზებენ ამ ქუჩებს, რომ ამით ერთმანეთისადმი კიდევ უფრო მეტი პატივისცემა და სიყვარული გამოხატონ.

**1961 წლის** ბარაქიანი შემოდგომა იდგა. ბოლნისის რაიონის ვეილ-მინდვრებს, ყანა-ბოსტნებსა და ბაღ-ვენახებს შრომის ოფახინი შეძახილები აღევძებდა. მუხლმტკიცე და მკლავმაგარ მშრომელებს რთველი გაეჩაღებინათ.

რაიონული გაზეთის „გამარჯვების დროშის“ რედაქციაშიც არ იყვნენ მოცლილ. ჟურნალისტები აჩუქურთმებდნენ, ფრთებს ასხამდნენ და მორიგი ნომრისათვის დასასტამბად გზავნიდნენ საკოლმეურნეო შრომის ფრონტებიდან მიღებულ სასახარულო ცნობებს.

რედაქციაში ახალი ფოსტა მოვიდა. კიევიდან მიღებულმა ამანათმა მიიპყრო ყველას ყურადღება. კონვერტში სხვა მასალებთან ერთად უკრაინულ ენაზე დაბეჭდილი რაიონული გაზეთის ერთი ნომერიც იდო. გაზეთის მესამე გვერდზე მოთავსებული წერილი ვინაცის ოლქის ბერშადის რაიონის სოფელ შლიახოვოს კოლმეურნეთა გამოცდილებაზე მოგვითხრობდა.

ბოლნისელმა ჟურნალისტებმა ხმა მიაწვდინეს უკრაინელ კოლეგებს, ვრცლად მოგვწერეთ თქვენი ავკარგიო. მათაც დიდხანს არ დაუყოვნებიათ და სულ მალე ბერშადელმა ჟურნალისტებმა ვრცლად უამბეს ბოლნისელ მკითხველებს თავიანთი რაიონის მხვნელ-მთესველთა შრომითს საქმიანობაზე.

ასე დაეფო საფუძველი უკრაინელ და ქართველ ჟურნალისტთა მეგობრობას, ბოლნისელ და ბერშადელ მშრომელთა მეგობრობას.

ნათქვამია, მეგობრის თვალები ვეტყვიან ყველაფერსო... და მოიწვიეს ბოლნისელებმა უკრაინელი კოლეგები.

1965 წლის 7 სექტემბერი... გულღიად, სტუმართმოყვრულად შეხვდნენ ბოლნისელები მოძმე რესპუბლიკის წარმომადგენლებს, რომელთა შორის იყო სოფელ შლიახოვოს ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ვასილ მიხეილის-ძე კავუნი.

ქართველი ხალხის გულის სითბომ, ქართული მიწის სილამაზემ და სურნელებამ მოხიბლა უკრაინელი ძმები. გამომშვიდობებისას სტუმრების თვალზე მომდგარი ცრემლები განშორების სინანულს, ბოლნისელ მშრომელებთან, მთელ ქართველ ხალხთან სამარადჟამო დაძმობილებით გამოწვეულ მადლიერებას გამოხატავდა.

კიდევ უფრო ამაღელვებელი იყო უკრაინელ და ქართველ მშრომელთა წარმომადგენლების შეხვედრა ბერშადში. ქალაქის ქუჩებსა და კოლმეურნეობებში მომრავლდა ქართულად დაწერილი ლოზუნგები: „კეთილი იყოს თქვენი სტუმრობა, ქართველო ძმებო!“

— მშობლიურ სოფელში გვეგონა თავი, — ჰყვებოდნენ შემდეგ ტანძრელები და ქვემელები, დარბაზელები და რატევეველები, რაჭისუბნელები და წითელსოფელელები. — შეგხვდებოდა ქუჩაში კაცი და ძმა გეგონებოდა ღვიძილი, გაგიმასპინძლდებოდა დიასახლისი და საკუთარი დის ნახელავს წაგაგებდა მისი მომზადებული სადილიო, ამბობდნენ ისინი შინაურებში.

მეგობრობას, ცხადია, საქმე მოჰყავს: ყოველ შემოდგომაზე თვალს ხიბლავს ქვემო ქართლის მცხუნვარე მზით მარცვლებჩაშაქრული რქაწითელი. საგულდაგულოდ მოვლილი ვენახი 18 ჰექტარზეა გადაჭიმული და მას „მეგობრობის ზვარი“ ეწოდება. თითქოს მეგობრობამ, ძმობამ და სიყვარულმა გაახალისაო, ღრმად გაიდგა ვაზმა ფესვები მიწაში, ფართოდ გაშალა მხრები...

ქართული ზრეული გასწვრივ თვალწარმტაცად ბიბინებს უხმოსავლიანი ხორბლის „მირონოვკა 808“ ჯიშის პურის ყანები. ბერშადიდან ნობათად გამოგზავნილი ათობით ტონა თესლი ათასობით ტონა ხორბლად აქცია ბოლნისის მიწამ.

...ფერდობზე შეფენილა „სიმენტალის“ ჯიშის პირუტყვი, ესეც ხომ ნამატია იმ ორასი სული ფურისა, ბერშადიდან რომ მიიღეს ბოლნისელმა მეცხოველეებმა.

არც ბოლნისელები დარჩენილან ვალში.

— ბარაქალა ქართველ ავტოშემკეთებლებს, დიდება მეგობრობას! — ამბობენ ბერშადელები, როცა თავიანთ ავტომობილებზე თვალს მოჰკრავენ „საქსოფლტექნიკის“ ბოლნისის რაიგანყოფილებაში საგულდაგულოდ შეკეთებულ ავტომანქანებს.

— მიირთვი, გეთაყვა! — შემოგთავაზებენ ქართულ სულგუნს სტუმართმოყვარე ბერშადელები, როცა მათი ოჯახის სტუმარი იქნებით. არ იფიქროთ, რომ ეს გემრიელი პროდუქცია ძოვნად იყოს ჩატანილი ბოლნისიდან. არა! ბერშადელებმა ქართველი კოლეგებისგან მხოლოდ მისი დამზადების ტექნოლოგია შეისწავლეს და შესანიშნავადაც აითვისეს ამ სახეობის ყველის წარმოება.

ბოლნისელი მშრომელები განსაკუთრებით გაახარა ბერშადელ და-ძმათა სტუმრობამ ამ საზეიმო დღეებში, როცა ჩვენი რესპუბლიკა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და საქართველოს კომპარტიის შექმნის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს ზეიმობდა.

იმ დღეებმა ერთხელ კიდევ დაგვანახვა ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა მზარდი, მტკიცე ძმობის მყარი საფუძველი, რომელმაც ხალხთა მეგობრობა ჩვენი სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლების ენერგიისა და შემოქმედების დაუშრეტელ წყაროდ აქცია.

დღე არ გავა, ერთმანეთს არ გაეხმიანონ ქართველი და უკრაინელი მეგობრები. გაზეთებით, წერილებით, დეპეშებით, ტელეფონით ატყობინებენ ერთმანეთს ამბავს თავიანთი მიღწევებისა და დასახული მიზნების შესახებ.

**თითქმის** ნახევარი საუკუნეა ცოცხლობს და ჰყვავის ქვეთილი ნების ადამიანების საკეთილდღეოდ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

მდიდარი საჩუქრები მოგვართვა ახალი ხუთწლედის პირველი წლის ოქროს შემოდგომამ, მაგრამ ყველაზე დიდი სიმდიდრე, რასაც ფასი არ დაედება — ეს ხალხთა მეგობრობაა!

ეს არის ჩვენი ბედნიერება, ჩვენი შემოქმედების წყარო, ჩვენი სიძლიერე!

**ბ. ჯინჭარაძე,**

**ბოლნისის რაიონული გაზეთის „გამარჯვების დროშის“ რედაქტორი.**

* * *

**სურათზე:** ბერშადის რაიონის მშრომელთა დელეგაცია ბოლნისში (მარცხნიდან მარჯვნივ): სოფელ ბალანოვკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ივანე დიაჩენკო, სოციალისტური შრომის გმირი ელენე პლახოტნა, რომელმაც ეს წოდება მიიღო 1949 წელს საქართველოში ჩაის უხვი მოსავლის მოყვანისათვის (ამჟამად ცხოვრობს ბერშადის რაიონის სოფელ პიატკოვკაში და მუშაობს კოლმეურნეობაში მწყვლავად). უკრაინის კპ ბერშადის რაიკომის პირველი მდივანი ვასილ ტიმონი, სოფელ მიხაილოვკის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი ტატიანა იაკიმჩუკი და სოფელ ჩერნიოვკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გრიგოლ გორბატიუკი.

# ПОЕТИС ГАЗВИТКА
## ეროვნული თვალსაზრისი
## და განცდილი

**ირაკლი აბაშიძის წიგნის „სიტყვები, გზები, სახეების“ გამო**

ირაკლი აბაშიძის ყოველ ახალ წიგნს ახალი ინტერესითა და მღელვარებით ეტანება მკითხველი. მისი ლექსების კრებულები დიდი ხანია იქცა ჩვენი ცხოვრების თანამგზავრად, რადგან ჭეშმარიტი პოეზია ყოველთვის იყო და დარჩება ადამიანის აუცილებელ სულიერ საზრდოდ, სიბრძნის, სიკეთისა და შვენიერების დაუშრეტელ წყაროდ.

ახლახან ირაკლი აბაშიძის კიდევ ერთი ახალი კრებული გამოჩნდა. მას „სიტყვები, გზები, სახეები“ ჰქვია. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ „ბიბლიოთეკა“ კეთილი საქმე უტვირთია, პოეტის წერილები, სიტყვები, მოგზაურობათა შთაბეჭდილებები თუ დღიურები ერთად შეუკონია და გამოუცია. თუმცა პოეტი ამ კრებულში სხვა სახით წარმოგვიდგა, მისი შემოქმედებითი პორტრეტის განმსაზღვრელი თვისებები, მაღალი მოქალაქეობრიობა და მამულიშვილობა აქაც ისე გამოსჭვივის, როგორც მის პოეზიაში. და კიდევ, შინაგანი მღელვარება, რასაც ასე ძლიერად აღგვძრავს ირაკლი აბაშიძის პოეტური კრებულები, ამ წიგნითაც ეუფლება მკითხველს.

რაზეც უნდა წერდეს იგი ამ წიგნში, წარსულის კულტურაზე თუ თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებზე, თავის მეგობარ საბჭოთა მწერლებზე თუ დასავლეთის ავანგარდიზმზე, ყოველთვის იგრძნობა მისი სულიერი თრთოლვა თუ მღელვარება, რისხვა თუ გულისწყრომა, ნათელი ხდება, რომ მისი თუნდაც წერილებში გამეფებული ყოველი აზრი მხოლოდ გონების ნაყოფი არ არის და გრძნობითაც არის გამამფრებული. ეს კიდევ უფრო ნათლად ჩანს მის ლიტერატურულ და მსოფლმხედველობრივ პოზიციას. ისიც ცხადია, რომ თავისი აზრითაც და გრძნობითაც ჩვენს წინაშეა ჭეშმარიტად თანამედროვე მწერალი, ვისთვისაც საბჭოთა სინამდვილე უბრალოდ ასასავი რამ კი არ არის, არამედ მთელი მისი სიცოცხლის, შემოქმედების მასაზრდოებელი და სათაყვანებელია.

ძნელია იმ უამრავი მასალიდან, რაც ამ წიგნშია თავმოყრილი, მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენების ან საკითხების მიხედვით მათი დახარისხება. თანაბრად ამაღელვებელია ჩვენი დიდი წინაპრების მისამართით თქმული სიტყვებიცა და თანამედროვე მწერალთა დამსახურების წარმოსაჩენად დაწერილი წერილებიც, მოძმე ერების მწერლებისადმი გამეფებული გრძნობებიც. ამ წიგნში ყველაფერს კრავს და აერთიანებს ეროვნული მწერლობის უკიდეგანო საყვარული, მის წარსულზე და მომავალზე ღრმა ფიქრი და ზრუნვა.

მკითხველი აქ ნახავს წერილებს შოთა რუსთაველზე და ხულხან-საბა ორბელიანზე, დავით გურამიშვილზე და ნიკოლოზ ბარათაშვილზე, ილიასა და აკაკიზე, ვაჟა-ფშაველასა და დავით კლდიაშვილზე, ქართული ლიტერატურის იმ ძარღვმაგარ ფესვებზე, რაზედაც აღმოცენდა ჩვენი თანამედროვე საბჭოთა მწერლობა. აქვეა წერილები უფროს თანამოკალმეებზე, ქართული საბჭოთა ლიტერატურის კლასიკოსებზე გალაკტიონ ტაბიძეზე, მიხეილ ჯავახიშვილზე, პაოლო იაშვილზე, ტიციან ტაბიძეზე, კონსტანტინე გამსახურდიაზე, იოსებ გრიშაშვილზე, გერონტი ქიქოძეზე, გიორგი ლეონიძეზე, სიმონ ჩიქოვანზე, რომელთადმი გულითადი სიყვარულიც ავტორის პირადი კონტაქტების გამო მეტი სითბოთი და სინაზით არის შეფერილი.

ი. აბაშიძემ კარგად იცის, რომ ყოველ პროფესიაში, მით უფრო მწერლობაში, კაცს უნდა მიეგოს იმისი წილი სითბო, სიყვარული, პატივი, რაც მას თავისი დვაწლით დაუმსახურია. მისი სულ ორგვერდიანი გამოსათხოვარი სიტყვაც „ამას ამბობდა ქართველი“ სწორედ ამ კეთილშობილურ მიზანს ემსახურება. ეს სიტყვა საქართველოში ყველასათვის ცნობილი ლეონის „ამას ამბობდა ქართველი ბარბაროსი დატყვევებული“ ავტორზე ლიდია მგალობლიშვილზე ერთ ნოველად ღირს, იმდენად მოუფიდნელია და ამაღელვებელი აქ გასსენებული ამბავი. ბევრმა არ იცის, ქართველ მწერლებს კი კარგად ახსოვთ, რა აღტაცებული იყო ი. აბაშიძე 60-იანი წლების დასაწყისში, როცა ილიასა და აკაკის თანამედროვე პოეტი „იმერელი ქალი“ აქ, ჩვენს გვერდით აღმოჩნდა. სსსრ-ფოდ დაუსტამბა ლექსები და 80 წელს გადაცილებულ ავტორს მისი პირველი წიგნი, მცირე კრებული მიართვა.

ყველაფერი, რაც კი ახალი სიმაღლეებისაკენ მიმავალი ქართველი ხალხის ეროვნულ საქმეს ეხება, უთუოდ მნიშვნელოვანია. ამდენად მნიშვნელოვანია ყველა წერილი და სიტყვა, რაც კი ი. აბაშიძის ამ ახალ წიგნშია დაბეჭდილი. და მაინც, რამდენიმე ცალკი წერილებისა საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია.

ი. აბაშიძემ ერთ-ერთმა პირველმა უძღვნა წერილები ქართული მწერლობის იმ დიდ და კეთილშობილ მოღვაწეებს, ვისი სახელებიც მოგვიანებით დაუბრუნდა მშობელ ერს. კრებულში ეს წერილები ერთად არის დაბეჭდილი: „ქართული ლიტერატურის დიდი ოსტატები“, „მისიელ ჯავახიშვილი“, „პაოლო იაშვილი“, „ტიციან ტაბიძე“. ამ წერილებით ქართველმა ხალხმა პირველად გაიგო მართალი სიტყვა სამ შესანიშნავ მწერალზე. კითხულობთ ამ წერილებს და უმალ გახსენდებათ შეუხორცებელი ჭრილობის ტკივილით დაწერილი ი. აბაშიძისავე ლექსი „პაოლო იაშვილს“. მას შემდეგ ამ მწერლებზე ვრცელი მონოგრაფიებიც დაიწერა, სპეციალური წიგნებიც და გამოკვლევებიც გამოქვეყნდა, მაგრამ ი. აბაშიძის წერილები მაინც რჩება იმ პირველ მორგებულ გასაღებად, რითაც შეგიღია ჩვენ ამ სამი შესანიშნავი მწერლის შემოქმედებითი სამყარო.

თავისი წიგნის წინათქმაში ირაკლი აბაშიძე წერს:

„ეს სტატიები მხოლოდ პოეტის სიტყვებია,

ეს გზები მხოლოდ პოეტის გზებია,

ეს სახეები მხოლოდ პოეტის ფარმოსახაში დანახული ფიანპერთა სახეებია, პოეტის გულისფიცარზე აღმეფადილი თანამედროვეთა სახეებია“.

აქ სადავო არაფერი შეიძლება გვქონდეს. თუ ვისმე დაეჭვება, ფაკიზთხოს ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილი სიტყვა „ჩრდილო ულბადო ზეციერო ბოზიერ“! უმალ მიხვდება, რომ ასე მხოლოდ პოეტს შეუძლია იმეტყველოს და წეროს. ი. აბაშიძე უშეალოდ მიმართავს ზორეულო წარსულის პოეტს — „შოთა რუსთაველს შემდეგ ნამდვილი პოეტური გმირობა, დიახაც, შენ აჩვენე საქართველოს“ — და ამით შესანიშნავად გვაგრძნობინებს, რომ მისთვისაც და ჩვენთვისაც ბარათაშვილი დღესაც ცოცხალია, ჩვენი თანამედროვეა, ყოველი თაობის თანამდგომი არის და იქნება. ასეა იგი დაწერილი და თითქოს ამ ეფსპრომტად თქმულ სიტყვაში ბარათაშვილის მთელი სიდიადეა მინიშნებული.

საერთოდაც, აქ ყოველი წერილი გვხიბლავს სისადავით, ხატოვანებით, გამჭვირვალე სიღრმეებით, მართლაც რომ პოეტური სილაღითა და სიმსუბუქით, რაც მკითხველს ყველაზე რთულ ლიტერატურულ პრობლემებშიც კი ერთბაშად არკვევს.

საბჭოთა ხალხი კანონიერად ამაყობს იმით, რომ იგია წარსულის კულტურულ საგანძურთა უპირველესი მემკვიდრეობა და ყველაზე დიდი დამფასებელიც. ეს უცილობელი ჭეშმარიტება, რასაც ჩვენი იდეოლოგიური მბრძანება კი ვიღარ ჩქმალავენ, ერთხელ კიდევ მთელი სისავსით და ელვარებით რუსთველის საუნჯეთ დდეებში გამოვლინდა.

კრებულში დაბეჭდილი რუსთველური ციკლის წერილებიდან ბევრი სწორედ იუბილეს წინა პერიოდს ეხება და ი. ინით ერის ერთ-ერთ ცხადად წარმოგვიდგება როგორ მზადდებოდა ქართული პოეტური გენიის ეს ტრიუმფი. აქვეა დაბეჭდილი სხვა სასიათის წერილებიც — „პოეტის უკვდავება“, „მსოფლიო პოეზიის დიდი რაინდი“, „ფირვრები რუსთაველზე“, „სიტყვა შოთა რუსთაველზე“ — სადაც იმ ეპოქისა და საერთოდ რუსთველის წინარე ქართული კულტურის, თუ თავად რუსთველის მემკვიდრეობის დრმა ცოდნით, ზუსტი მეცნიერული და პოეტური მიგნებებით ორიგინალურად არის გაშუქებული მისი მსოფლმხედველობის უთარეული საკითხები, გარკვეულია გენიალური ქართველი პოეტის მნიშვნელობა ეროვნული მწერლობის ისტორიაში თუ საერთოდ ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში, კეთილი ადგილი აქვს მიჩნეული რუსთველს „მსოფლიო მნათობთა თანაგარსკვლავედში“. ამ წერილების მნიშვნელობა მით უფრო დიდია, რომ ისეთ ეურნალებში და გამოცემებში დაიბეჭდა, რომლებიც მსოფლიოს თოთქმის ყველა ქვეყანას სწვდება (მაგალითად, იუნესკოს ჟურნალ „ეურიერში“).

ამავე რუსთველურ ციკლს მიეკუთვნება „პალესტინის ღიერიც“, თუმცა იგი წიგნის მეორე ნაწილშია დაბეჭდილი, რასაც საერთო სათაურად „ზეები და ფიქრები“ მისცა ავტორმა. ეს არის ამაღელვებელი მოთხრობა სამი ქართველი აკადემიკოსის აკაკი მანაძის, გიორგი წერეთლის და ირაკლი აბაშიძის მოგზაურობაზე რუსთველის ნაკვალევზე, რამაც ისინი იერუსალიმის ყოფილი ქართველთა ჯვრის ძველ მონასტერში მიიყვანა. ნაკვალევმა მიიყვანა, ილოდ ითქმის, სინამდვილეში კი ეს იყო ეჭეშმარიტი მეცნიერული და მამულიშვილური თავდადება, რასაც ქართველ ერს და მთელ პროგრესულ კაცობრიობას გადაურჩინა რუსთველის ანლა უკვე საყოველთაოდ ცნობილი „ფრანკული პორტრეტი. კითხულობთ ამ დღიურს და განცვიფრებთ ის ენით უთქმელი სიყვარული ეროვნული კულტურისა, რამაც ამ სამ დიდებულ ქართველს იქაური ბერძენი სამდგელოების შეფარული ვერაგობა თუ აშკარა წინააღმდეგობა გადაალახვინა. და თუ ამ დღიურის კითხვის დროს გავიხსენებთ, ან კი როგორ არ გაგვახსენდება, პოეტის საყოველთაოდ ცნობილ ციკლს ლექსებისას „პალესტინა, პალესტინა“, ცხადი გახდება, რომ იუბილეს წინა მთელი ათი წელი ი. აბაშიძე ძირითადად რუსთველის სახითა და სახელით ცოცხლობდა, მისი ფიქრი და განცდა ამ შორეული და ახლობელი გენიით იყო შეპყრობილი.

მრავალმხრივ საინტერესო წერილში „რას დაეშვერდი მხარს ხელვეორედ“ ი. აბაშიძე წერს:

„ისევ უყოყმანოდ გავყვებოდი ჩვენი დიდი წინაპრების გზას, მათს სათელ რჩევასა და ანდერძს, ილიას, აკაკის, ვაჟას ანდერძს ხალხთა ძმობის შესახებ. ამ ანდერძის ხორცშესხმა ჩვენი ეპოქის ერთი უბრწყინვალესი მონაპოვარია“.

კრებულში დაბეჭდილია ი. აბაშიძის საგანგებოდ დაწერილი შვენი წერილი და სიტყვა, სადაც იგრძნობა ის დიდი, გულითადი სიყვარული ზეიმი ერების კლასიკოსებისა თუ თანამედროვე მეგობარი მწერლების მიმართ, რაც მას მუდამ გააჩნდა. ქართველი მწერლების მეგობრობას რუს, უკრაინელ, სომეხ, აზერბაიჯანელ თუ სხვა ზეიმი ერების მწერლებთან დიდი ხნის ისტორია აქვს. საბჭოთა პერიოდში ეს დიდებული ტრადიცია ახალ, ჭეშმარიტად დიდ სიმაღლეზე აიყვანეს პაოლო იაშვილმა, ტიციან ტაბიძემ, სიმონ ჩიქოვანმა, გიორგი ლეონიძემ. ასაკის გამო ცოტა უფრო გვიან, მაგრამ მთელი გატაცებითა და ენერგიით ამოუდგა მათ მხარში ირაკლი აბაშიძე. ამ შემოქმედებითი მეგობრობისა და თანამშრომლობის ნაყოფი უაღრესად მნიშვნელოვანია ქართველი მწერლებისთვისაც და მათი მოძმე კოლეგებისთვისაც. ქართული მწერლობის ერთგულმა მეგობრებმა ნიკოლოზ ტიხონოვმა, ბორის პასტერნაკმა პავლე ანტოკოლსკიმ, მიკოლა ბაჟანმა, ნიკოლოზ ზაბოლოცკიმ, აღექსანდრე მეჟიროვმა და ბერმა სხვა გამოჩენილმა რუსმა თუ სხვა ეროვნების პოეტმა, დიდებული წინაპრების პუშკინის, ლერმონტოვის, ლესია უკრაინკას, თუმანიანის თუ სხვათა მსგავსად, მარტო თავისი პოეტური სამყარო კი არ გაამდიდრეს ახალი მოტივებითა და ახალი ხედვით, არამედ, რაც კიდევ უფრო მთავარია ჩვენთვის, დიდებული თარგმანებით თავისი ხალხი აზიარეს ქართულ პოეზიას და ამით ჩვენი ეროვნული მწერლობა დიდ ასპარეზზე გაიყვანეს. ამის გამო მათდამი მადლიერების გრძნობა უხვადა აქვს გამოქვეყნებული ი. აბაშიძეს თავისი წერილებისა და სიტყვების ამ ახალ კრებულში.

საინტერესოა წიგნის მეორე ნაწილიც, სადაც პოეტი თავის საზღვარგარეთულ შთაბეჭდილებებს გვიზიარებს. იგი მწერალთა მრავალი საერთაშორისო კონგრესისა თუ ფორუმის მონაწილეა. საბჭოთა პოეტის მაღალი სახელის დასაცავად და გასატანადაც მსოფლიო მასშტაბით მას შემოვლილი აქვს აზიის, ევროპისა თუ ამერიკის ბევრი ქვეყანა. მკითხველი დღიურებსა და წერილებში მრავალ საგულისხმო ამბავს ამოიკითხავს: რა პრობლემები აწუხებს თანამედროვე მსოფლიოს მწერლებს, რა პრინციპული დაგვა ლიტერატურის არსებულ საკითხებზე საბჭოთა და დასავლეთელ მწერლებს შორის, როგორ იზრდება საბჭოთა მწერლობის გავლენა მთელ მსოფლიოში. და, ბოლოს, უბრალოდ საინტერესოა თუნდაც წიგნის მეშვიდეობთან გასეირნება შორეულ ქვეყნებში, მით უფრო როცა მეგზურად ასეთი ავტორი გიყავთ.

ამ წიგნით „სიტყვები, გზები, სახეები“ ჩვენთვის კარგად ნაცნობი სახე ირაკლი აბაშიძისა კიდევ უფრო სრულად გამოიკვეთა, უფრო გასაგები გახდა მისი მწერლური, პუბლიცისტური, მამულიშვილური შემარეთება. მკითხველისათვის დიდად საინტერესო და სასიამოვნოა ირაკლი აბაშიძის მიერ შინ თუ გარეთ ნაფიქრთან და განცდილთან ზიარება.

**გურამ გვერდწითელი.**

# პარტიული აქტივების კრებებზე

რესპუბლიკის რაიონებში გრძელდება პარტიულ ორგანიზაციათა აქტივების კრებები, რომლებზეც განხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1971 წლის ნოემბრის პლენუმის შედეგებს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ი. რუსელიაშვილი გამოვიდა ხაშურის რაიონის პარტიული აქტივის კრებაზე.

დმანისის რაიონის პარტიული აქტივის კრებაზე მოხსენება გააკეთა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსმა ბ. ქაფაგიძემ.

ლენტეხის რაიონის პარტიული აქტივის კრებაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა შ. ბოჭორიშვილმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილემ ბ. ბედნინაშვილმა მოხსენება გააკეთა ონის რაიონის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ს. ქასაბიამ მოხსენება გააკეთა წალენჯიხის რაიონის პარტიული აქტივის კრებაზე.

რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა აქტივების კრებების მონაწილეებმა ერთსულოვნად, უდიდესი აღმავლობით დაუჭირეს მხარი და მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ბრძნული სამნიადო და საგარეო პოლიტიკა.

კრებებზე გამოსულნი აღნიშნავდნენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ამრავლონ პარტიისა და ხალხის სახელოვანი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციები, ღირსეული წვლილი შეიტანონ მეცხრე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებაში, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების საქმეში. (საქმისი).

# პროფკავშირთა რესპუბლიკურ და საოლ

ჩვენი რესპუბლიკის რაიონებში

# ორჯონიკიძე

გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

პ. ჭიოკაძე

## მოლითიდან იტალიაში, იაპონიაში...

**სახელგანთქმულია** მოლითის წითელი მარმარილო. იგი იგზავნება არა მარტო საქართველოს, მოსკოვის, კიევის, მინსკის მშენებლობებზე, არამედ უცხოეთშიც. ახლახან მოლითური მარმარილო გაიგზავნა იტალიასა და იაპონიაში.

## ახალი პროდუქცია

**მარელისის** გრეხილი ავეჯის ფაბრიკის კოლექტივი მუდამ ახლის ძიებაშია. აქ აითვისეს ნახევრადრბილი სკამის გამოშვება. ამ პროდუქციამ მაღალი შეფასება მიიღო. დაიწყო მისი სამრეწველო გამოშვება. ახლა სკამზე დიდი მოთხოვნილებაა.

## 50 ათასი ექსკურსანტი

**გამოჩენილი** რევოლუციონერის, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის ს. ორჯონიკიძის ღორეშის სახლ-მუზეუმში მუდამ ბევრი ხალხია. საბჭოთა საქართველოს ნასვლარსაუკუნოვან საიუბილეო წელს მუზეუმი ახალი მასალებით შეივსო. წელს მუზეუმი დაათვალიერა 50 ათასმა ექსკურსანტმა. აქ მოდიან საბჭოთა ქვეყნის მორეული კუთხეებიდან — სერგო ყველასათვის ახლობელია.

## „პიონერთა ქალაქი“

**მარადმწვანე** მცენარეებით შემოსილ ზვარეს მიდამოებში დამთავრდა „პიონერთა ქალაქის“ მშენებლობა. იგი ს. ორჯონიკიძის სახელს ატარებს. ზვარეში ერთდროულად ორასი ბავშვი დაისვენებს. ორჯონიკიძეს პიონერებთან ერთად აქ დაისვენებენ მუშა-მოსამსახურეთა ბავშვები მოსკოვის, ხარკოვის, ბაქოს, ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელების ქარხნებიდან, რომლებიც მონაწილეობენ ზვარეს პიონერთა ქალაქის მშენებლობაში.

## ანსამბლი გამოფენაზე

**მაყურებელთა** მოწონებით სარგებლობს კულტურის სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელსაც ხელმძღვანელობენ ნაქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები მ. ჩრინაშვილი და ი. აბაშიძე. ქორეოგრაფი რ. ასათიანი. ანსამბლი წარმატებით გამოვიდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მოსკოვში, სადაც რამდენიმე კონცერტი გამართა და საგამოფენო კომიტეტის დიპლომი დაიმსახურა.

## კურორტი ნუნისი

**კურორტ** ნუნისის წყაროები ჰკურნავს კანის სნეულებებს. წელს აქ 1.500-ზე მეტმა ადამიანმა იმკურნალა. ბევრი რამ კეთდება კურორტის კეთილმოწყობისათვის. მარტო გზის მშენებლობაზე 680 ათასი მანეთი დაიხარჯება. დამსვენებელთათვის შენდება ახალი სასადილო, საჰაერო-სანაგარო გზა.

## მეკურდღლეობის ფერმა

**შეიქმნა** საკოლმეურნეობათაშორისო მეკურდღლეობის ფერმა 300 დედაკურდღლისათვის. სახელმწიფოს წლიურად მიიყიდება 50 ცენტნერი კურდღლის ხორცი. განზრახულია ფერმის გაფართოება.



სურათზე: ორჯონიკიძის პოლიკლინიკა-საკავადმყოფოს შენობა.



# დაიწყო ზამთრის სესიები

**საქართველოს** უმაღლეს სასწავლებლებში ახლა ზამთრის სესიებია. სტუდენტებით სავსე დერეფნებსა და ვესტიბიულებში მღელვარებას დაუსადგურებია. აუდიტორიებში გამოცდები მიმდინარეობს. ეს პერიოდი ყველაზე მნიშვნელოვანია სტუდენტების ცხოვრებაში, ხდება მათ მიერ სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება.

სამკითხველო დარბაზებში, სასწავლო კაბინეტებსა და ლაბორატორიებში ტევა არ არის — ქალიშვილები და ჭაბუკები მთელი მონდომებით მეცადინეობენ, ემზადებიან, თავიანთ ცოდნას ამოწმებენ.

რესპუბლიკის 18 უმაღლესი სასწავლებლის ათასობით სტუდენტი დიდი ამოცანის წინაშე დგას — კარგად დაეუფლონ არჩეულ სპეციალობას, ღრმად, გააზრებულად შეითვისონ თანამედროვე მეცნიერების მიღწევები, რათა შემდეგ შეძლონ უმაღლეს სასწავლებელში შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება.

სურათებზე: ზემოთ — თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი კორპუსი; ქვემოთ — უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი ლ. შალვაშვილი მეცადინეობისას.

საქდენის ფოტოქრონიკა.

# სპორტი

## ასე იწყება სპორტული წელიწადი

**ახალი** წლის პირველი აფიშა. ასე შეიძლება ვუწოდოთ იანვრის სპორტულ ასპარეზობათა კალენდარს, რომელიც მრავალმხრივი და მიმზიდველია. ამ კალენდარში წამყვანი ადგილი ზამთრის სახეობებს — სათხილამურო სპორტს, ციგურაობას, ჰოკეის უჭირავს. მაგრამ ცოტა ადგილი როდი აქვს დათმობილი სპორტულ თამაშებს, ჭიდაობას, ჭადრაკს, ფარიკაობას.

შეჯიბრებათა ერთი ნაწილი მოეწყობა ბორჯომის ხეობის ულამაზეს კუთხეში — ბაკურიანში, ზოგიერთი — თბილისში.

„ბაკურიანის თასის“ გათამაშება სათხილამურო რბოლებში კოსტაგორის მიდამოებში 9 იანვარს შედგება. აქვე ამავე სახეობაში 15-18 იანვარს შედგება სსრ კავშირის თასის გათამაშება. ყურადღებას იპყრობს „შფრინავ მოთხილამურეთა“ ასპარეზობა. მათ 16 იანვარს ბაკურიანში ასპარეზობა ექნებათ სსრ კავშირის თასისათვის ტრამპლინიდან ხტომაში. 21-24 იანვარს გათამაშდება გაზეთ „ლელოს“ პრიზი სამთო-სათხილამურო სპორტში სსრ კავშირის თასის გათამაშების პროგრამით. თვის მიწურულში (28-30) ბაკურიანში მოეწყობა საკავშირო ტურნირი სათხილამურო რბოლებში იუნაიორთათვის.

საინტერესო იქნება თბილისის საერთაშორისო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში. იგი გაიმართება 28-30 იანვარს. თბილისში მოეწყობა აგრეთვე ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშების პირველი ტური ფრენბურთში „ა“ კლასის მეორე ჯგუფის ვაჟთა გუნდებისათვის.

სხვა შეხვედრებიდან გამოვყოფთ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მატჩს კალათბურთში ქალთა გუნდებისათვის რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტისა და პრაღის „სპარტას“ გუნდებს შორის, რომელიც დღეს შედგება რიგაში, სსრ კავშირის თასის გათამაშებას (ალმა-ატა, 7-9 იანვარი) ჩეხოსლოვაკიელ ციგურაობაში, ევროპის ჩემპიონატს ფიგურულ ციგურაობაში (შვეიცია, 11-16 იანვარი), ჩვენი კონტინენტის პირველობას ქალთა მორის ჩეხოსლოვაკიელ ციგურაობაში (გფრ, 15-16 იანვარი), სსრ კავშირის თასის გათამაშებას ფარიკაობაში (ვორონეჟი, 15-19 იანვარი).

## „ძალისნობა — 72“

**ახალი**, 1972 წელი ოლიმპიურ ასპარეზობათა წელია. რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის, ახლაც სპორტსმენთა მიუხედავად ფორუმზე თავიანთ სიტყვას იტყვიან საბჭოთა ძალოსნები, რომლებსაც ფავორიტებად თვლიან. გასული წელი მართლაც რომ უნიკალური, ჭეშმარიტად ტრიუმფალური იყო საბჭოთა შტანგისტებისათვის. გავიხსენოთ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები ხოფისა და ლიმაში. იქიდან ხომ მათ სამ ათეულზე მეტი ოქროს მედალი ჩამოიტანეს. 100 მსოფლიო რეკორდიდან, რაც შარშან იქნა დაფიქსირებული, 78 საბჭოთა შტანგისტებს ეკუთვნით.

მიუხედავად ოლიმპიადამდე საბჭოთა შტანგისტებს არაერთი მნიშვნელოვანი ასპარეზობა მოელით. მათთვის ახალი სეზონი თებერვალში დაიწყება პარიზის საერთაშორისო ტრადიციული ტურნირით. მოსალოდნელია, რომ საბჭოთა გუნდს ამ ტურნირზე სათავეში ჩაუდგეს მსოფლიოში ყველაზე ღონიერი ადამიანი ვ. ალექსეევი, რომელმაც მარტო შარშან 21 რეკორდი დამყარა. შემდეგი გამოსვლები საბჭოთა შტანგისტებს ექნებათ მარტში შვეიცის, ფინეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტურნირებში. ჩვენი ქვეყნის პირველობა ტალინში, რომელიც მთავარი ასპარეზობა იქნება ოლიმპიური ნაკრების დასაკომპლექტებლად, მოეწყობა აპრილში. მიუხედავად ოლიმპიურ ასპარეზობათა წინ კი გენერალური რეპეტიცია იქნება ევროპის ჩემპიონატი რუმინეთის ქალაქ კონსტანცაში. ეს შეხვედრა მაისში მოეწყობა.

ა. ჯავახია

## ა. ჯავახია

**გარდაიცვალა** საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი, პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი 1928 წლიდან **აკაკი ფარნაოზის-ძე ჯავახია.**

ა. ჯავახია დაიბადა 1901 წელს ნაქალაქევში (ცხაკაიის რაიონი). მას უკვე 20 წლის ყმაწვილს ირჩევენ მშობლიურ სოფელში ნაქალაქევის კომკავშირის რაიკომის ორგანიზატორად, ცენტრალური პარტიული სკოლის დამთავრების შემდეგ კი საქართველოს ალკკ ლაგოდეხის რაიკომის მდივნად. 1924 წელს იგი გადაჰყავთ ცაგერში კომკავშირის სამაზრო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ.

1925-1926 წლებში ა. ჯავახია მუშაობს თბილისის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს მდივნად. 1926 წლიდან 1933 წლამდე იყო სახალხო მოსამართლედ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში, 1933-1934 წლებში წალენჯიხის რაიონის მტს-ის პოლიტგანყოფილების უფროსია, 1934-1937 წლებში კი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.

1937 წელს ა. ჯავახია დანიშნა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილედ, ხოლო 1938 წელს არჩეული იქნა უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ, სადაც ამოუშავა 1949 წლამდე. შემდეგ იყო ამიერკავკასიის სახაზო სატრანსპორტო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, ადვოკატი.

ა. ჯავახია ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით.

გულისხმიერი მუშაკის, საოცნოო იურისტისა და შეგობრის ა. ჯავახიას ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება იმ ადამიანების გულში, ვინც მას იცნობდა.

**საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი.**

# თუ გსურთ ჯანმრთელი იყოთ!

# იარეთ, ირბინეთ, ივარჯიშეთ!

**ცნობილია,** რომ თანამედროვე ცივილიზაციის ეპოქაში ადამიანის ჯანმრთელობას ყველაზე დიდ საშიშროებას უქმნიან ისეთი ფაქტორები, როგორიც არის ნერვული დაძაბულობა, გადაჭარბებული კვება და კუნთური მოძრაობის (მუშაობის) მნიშვნელოვნად შემცირება (ჰიპოკინეზია).

ისმის საკითხი, შეიძლება თუ არა ვიბრძოლოთ ამისათვის, რომ მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც შევამციროთ აღვიძინის ჯანმრთელობაზე ამ შაქტორების უარყოფითი ზემოქმედება? პასუხი ერთია: დიახ, შესაძლებელია!

დღეს არავისთვის არ უნდა იყოს საეჭვო ის ფაქტი, რომ ფიზიკური კულტურითა და სპორტით სისტემატური მეცადინეობა, ორგანიზმის მუნებრივი ფაქტორებით (მზით, ჰაერით და წყლით) გამოწრთობა ადამიანის გაჯანმრთელების საუკეთესო საშუალებაა. მრავალი ექსპერიმენტული და კლინიკური დაკვირვებებით ცნობილია, რომ რაციონალური (დოზირებული) ფიზიკური ვარჯიში თვით ეულ ასაკობრივ პერიოდში დადებითად მოქმედებს, როგორც ყველა ფიზიოლოგიურ ორგანო-სისტემებზე, ისე ადამიანის მთელ ორგანიზმზე.

დღეს მკვლევართა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ორგანიზმის გაასაღაზრდავება და შრომის უნარის მომატება ძირითადად მოძრაობით (ფიზიკური ვარჯიშით) არის განპირობებული და არა მედიკამენტური მკურნალობით. დადგენილია, რომ ჩვენ ბავშვთა ასაკში და შემდგომ პერიოდში ორგანიზმის განვითარება ბევრად არის დამოკიდებული მოძრაობითი თვისებების სრულყოფაზე.

იმ ბავშვებში, რომლებიც სისტემატურად მეცადინეობენ სპორტით, ბევრად უფრო ნაკლებად გვხვდება ანგინა, რევმატიზმი, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა და სხვ.

მოზრდილებს, რომლებიც ეწევიან ფიზიკურ ვარჯიშს (შრომას), ბევრად უფრო ნაკლებად აქვთ გამოხატული ათეროსკლეროზი; მათ შორის სამჯერ უფრო ნაკლებად გვხვდება გულის კუნთის ინფარქტი ან ჰიპერტონიული სნეულება.

ცნობილია, ისიც, რომ სპორტსმენები, რომლებიც საშუალო და ხნიერ ასაკში ვანაგრძობენ სპორტით მეცადინეობას, ბევრად უკეთ ინარჩუნებენ ჯანმრთელობას და შრომის მაღალ უნარს, ვიდრე ის სპორტსმენები, რომლებიც სპორტული მოღვაწეობის დამთავრების შემდეგ სრულიად ანებებენ თავს ფიზიკურ ვარჯიშს.

ჩვენი საკუთარი დაკვირვებანი ნათლად მოწმობენ, რომ ის ქრონიკული ავადმყოფობები (გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქავი სისტემის პათოლოგიით დაავადებულნი.), რომლებიც შედარებით უფრო მოძრავ (აქტიურ) ცხოვრებას ეწევიან ბევრად უკეთესად გრძნობენ თავს, ვიდრე მწოლიარენი. ფიზიკური ვარჯიში — ეწრთნა, რა სახისაც უნდა იყოს იგი — ფეხით ხანგრძლივი დროის განმავლობაში სხვადასხვა ტემპით სიარული, სირბილი, ტანვარჯიში, ცურვა, სპორტული თამაშები თუ ა. შ. — უნდა წარმოადგეს ადამიანის მთელი სიცოცხლის განმიღზე, რადგან კუნთური მოქმედებით თუნდაც უმნიშვნელო ხასიათის შრომის უნარის მომატება უპირველესად ადამიანის ორგანიზმის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას გულისხმობს.

ყოველწლიურად სულ უფრო ხშირია 30-40 წლის ასაკს გადაცილებულთა გატაცება ფიზიკური ვარჯიშით. მაგრამ ქრონიკულ ავადმყოფებს, ან იმ პირებს, რომელთაც არც შთამომავლობითი (გენეტიკური) თვალსაზრისით და არც სპეციალური ფიზიკური აღზრდით არა აქვთ სათანადო ფიზიკური მომზადება, უნდა ახსოვდეთ, რომ არარაციონალურმა ფიზიკურმა ვარჯიშმა შესაძლებელია უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს მათს ჯანმრთელობაზე. იგი უარყოფითად მოქმედებს აგრეთვე იმ ჯანმრთელ და თუნდაც გაგარჯიშებულ პირებზე, რომლებიც ფიზიკური ვარჯიშის პარალელურად თავს არ ანებებენ მავნე ჩვეულებს — ეწევიან თამბაქოს, იღებენ აღკოჰოლს, არღვევენ დღის რეჟიმს და სხვ.

როდესაც მკურნალობისა და პროფილაქტიკის მიზნით ფიზიკური ვარჯიშის გამოყენებაზე ვლაპარაკობთ, სავარაუდოა ვიგულისხოთ მედიცინის მამამთავარის ჰიპოკრატეს სიტყვები — „უპირველესად არ მავნოთ“. ფიზიკური ვარჯიში მრავალ სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული. ამიტომ მეცადინეობის დაწყება ყველა შემმოწმებელ ექიმ-სპეციალისტის მიერ ჩატარებული კლინიკურ-ფუნქციონალური გამოკვლევების მონაცემებს უნდა ემყარებოდეს.

თუ ადამიანი ბავშვობიდანვე მისდევს სპორტს, მაშინ მისთვის ასაკის მატებასთან ერთად ბევრად ადვილია ფიზიკური დატვირთვის მიცემა მომატება და თუ შემცირება, ან კიდევ სხვა რომელიმე სახეობაში ვარჯიშის გაგრძელება. საქმე ბევრად უფრო ურთულდებათ იმ პირებს, რომლებიც ბავშვობისა და ახალგაზრდობის პერიოდში ნაკლებად მეცადინეობდნენ სპორტში. ამ შემთხვევაში მათთვის ყველაზე უკეთესი საშუალებაა სუნთქვითი მარჯვეი — შეხნეთ სიარული და სირბილი. ძველი ბერძენი ფილოსოფოსები ამბობდნენ, რომ „სუნთქვა სიცოცხლეაო“. აქედან გასაგებია, რომ ადამიანის ჯანმრთელობისათვის სწორ სუნთქვას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

არ შეიძლება დაგეთანხმოთ იმ აზრს, რომ გამაჯანსაღებელი მნიშვნელობა მხოლოდ სირბილს ჰქონდეს და არა ფეხით სიარულს. მართალია, ფეხით სიარული ადამიანის ორგანიზმში ბიოქიმიური პროცესების მხრივ არ იწვევს ისეთ ცვლილებებს, როგორიც სირბილი, მაგრამ საშუალო და ხნიერ ასაკში ფეხით სიარული ავითარებს თვალსაჩინო ფიზიოლოგიურ ძვრებს, რასაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ორგანიზმში ბიოლოგიური ტონუსის აწევის თვალსაზრისით.

სიარული, რომელიც წუთში 60 ნაბიჯის შესრულებით სრულდება, რასაკვირველია, ჯანმრთელ პირზე არავითარ დადებით შემოქმედებას არ მოახდენს, მაშინ, როცა გულის კუნთის ინფარქტის გადატანის შემდეგ პირველ ხანებში ასეთი ტემპით სიარული საკმაოდ ავარჯიშებს გულს. ჯანმრთელმა ადამიანმა უნდა იაროს სწრაფი ტემპით — წუთში 120-130 ნაბიჯი (თვალა ხდება მარცხენა ფეხზე და მიღებული რიცხვი მრავლდება ორზე), ისე რომ ყოველდღიურად 10-12 კილომეტრს გადიოდეს. ანი ძირითადად ძუძუთით უნდა დარბოდეს. სირბილის ეს ფორმა ფიზიკური დატვირთვის ძალიან ეფექტური სახეა და მისი ორგანიზმზე დადებითი მოქმედება მეცნიერულად არის დასაბუთებული. ეუნეტერეთ სირბილის დროს ადამიანი ერთ კილომეტრს 6-7 წუთში უნდა გადიოდეს. ჩვენი რჩევაა, რომ გაჯანსაღების მიზნით სირბილის შემთხვევაში აუცილებელი არ არის მანძილის გარბენა დროზე (როგორც სპორტული შეჯიბრის დროს), ამასთან არც სირბილის ტემპის მომატებაა საჭირო.

სირბილისა და ჩქარი ტემპით სიარულის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კუნთური მუშაობის დამთავრების შემდეგ აღდგენის (დასვენების) პერიოდის დანიშვას.

დღეს საშუალო და ხნიერი ასაკის მოსახლეობის დიდი ნაწილი სულ უფრო იზიარებს იმ აზრს, რომ ფიზიკური ვარჯიში დადებით ზეგავლენას ახდენს ორგანიზმზე. უნდა გვახსოვდეს, რომ რაციონალური ფიზიკური ვარჯიში წარმოადგენს სწორედ ერთ-ერთ ძირითად საშუალებას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ჯანმრთელობის შენარჩუნება.

**რ. სვანიშვილი.**

— თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის, სამკურნალო ფიზკულტურისა და საექიმო კონტროლის კათედრის გამგე.

## ჯილდო საუკეთესოებს

**ფიზკულტურისა** და სპორტის საკავშირო კომიტეტმა შეიტანა ფიზკულტურული ორგანიზაციების გასული წლის შეჯიბრების შედეგები საკავშირო, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე ოლიმპიურ სახეობებში მოპოვებულ მიზეგდვით.

რესპუბლიკებს შორის უძლიერესი აღმოჩნდა რსფსრ-ის ფიზკულტურული ორგანიზაცია. საქართველოს ორგანიზაცია მეექვსე იყო. ქალაქებს შორის თბილისმა მეოთხე ადგილი დაიკავა.

გამარჯვებულები დაჯილდოებული არიან.

## საპასუხო ტურნირები

**ჰასტინგსში** გრძელდება წინასაახალწლო ტრადიციული ტურნირი ჭადრაკში. აკლავ წარმატებით გამოდის ახალგაზრდა ლენინგრადელი გროსმაისტერი ა. კარპოვი. მეექვსე ტურში საბჭოთა გროსმაისტერმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად ცნობილ ბრაზილიელ მოჭადრაკესთან ენრიკე-კოსტა მეკინგთან და გაანმტკიცა ლიდერის პოზიცია. ა. კარპოვი უახლოეს მეტოქეებს — შვედ უ. ანდერსონსა და დასავლეთ გერმანელ გროსმაისტერს ვ. უნციკერს ერთი ქულით უსწრებს. მეორე საბჭოთა გროსმაისტერს ვ. კორჩნოის 3,5 ქულით და 1 გადადებული პარტიით მეოთხე ადგილი უჭირავს.

შვეიცარიაში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. აქ უძლიერესის ტიტული დაიმსახურა და პირველი პრიზი მოიპოვა ჰოლანდიელმა საერთაშორისო ოსტატმა ტ. ტიმანმა, რომელმაც ცხრიდან 7,5 ქულა შეაგროვა.

## ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთის ახალი სეზონის წინ

**ბევრი** ფიქრობს, ალბათ, ასეთ ამბავზე, — ფეხბურთელ ბიჭებს ეგონათ, ალბათ, ეს ამბავი ბევრ ადამიანს ეგონა, — ეს ამბავი ალბათ